ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2228952

ნომერი: AR1342172

თარიღი : 16.09.2015

გაცემის თარიღი : 06.10.2015

გაცნობის თარიღი : 06.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გასასვლელი გ. წერეთელი , N 1 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჩოლოყაშვილი , N 3-5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით აფრასიძე პ/ნ 01026006248
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 16 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

თქვენს მიერ წარმოსადგენილი ფოტოსურათები დამუშავებულია, საჭიროა წარმოდგენილ იქნას არსებული სიტიუაციის ამსახველი ფოტოსურათები და უშუალოდ მათზე დამუშავებული ფოტომონტაჟები.

გენ–გეგმაზე დამატებით დაიტანეთ საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტრანსპორტის შესვლა–გამოსვლის სქემა. ასევე „მოთხოვნის ტექსტი“–ს გრაფაში დეტალურად აღწერეთ ჩასატარებელი სამუშაოები და აგრეთვე დააფიქსირეთ, ხდება თუ არა არსებული ხე–ნარგავების მოჭრა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი", რომლის რექტორიც სამეწარმეო რეესტრის მიხედვით არის გიგი თევზაძე. ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მოიჯარეა "ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია“, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ დავით აფრასიძემ. სამსახურისთვის გაუგებარია თქვენი უფლებამოსილება. საჭიროა "მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს ერთ–ერთი ფირმის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ან წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი განცხადებით მოგვმართოს ერთ–ერთმა დირექტორმა.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.